პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი 22 მაისი 1942 წ. № 119 (6435) ფასი 15 კაპ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პირველი და მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენის დაწესების შესახებ

იმათ დასაჯილდოებლად, ვინც თავს ისახელებენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის დროს საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს პირველი და მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენი.
2. დამტკიცდეს პირველი და მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენის სტატუტი.
3. დამტკიცდეს პირველი და მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენის აღწერილობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წელი, 20 მაისი.

სამამულო ომის ორდენი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დააწესოს სამამულო ომის ორდენი იმათ დასა-

[illegible]

მფრინავები, არტილერისტები, ნაღმტყორცნელები, ტანკისტები, ქვეითები, მეზღვაურები. ისინი რისხვად გადაიქცნენ გერმანიის არმიისათვის.

ჩვენი მებრძოლნი უფრო სასტიკნი და უფრო ულმობელნი გახდნენ. მათ კარგად გაიცნეს საზიზღარი მტერი. ისინი სწავლობენ მისდამი სიძულვილს თავიანთი სულის მთელი ძალებით.

[illegible]

თელმა არმიამ, მთელმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა, ყველა პარტიზანმა. ახალი ორდენის სტატუტი საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს ყოველი წითელარმიელისა და წითელფლოტელისათვის. მან იცის, თუ რას მოელის მისგან სამშობლო. მან იცის, თუ როგორ უნდა ბრძოლა და რას უნდა მიაღწიოს.

[illegible]

წმინდა მიწა-წყლის საზღვრებისაკენ, დაკავებული ტერიტორიებისაკენ, სადაც წითელი არმიის მოსვლას იმედითა და სიყვარულით ელიან ჩვენი ძმები და დები, საბჭოთა მოქალაქენი!

„პრავდის" მოწინავე, 21/V.

სამამულო ომის ორდენის სტატუტი

1. სამამულო ომის ორდენით ჯილდოვდებიან წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინსახკომის ჯარებისა და პარტიზანული რაზმების რიგითი და უფროსთა შემადგენლობის პირნი, რომლებმაც საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში გულადობა, მედგრობა და მამაცობა გამოიჩინეს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც თა-

[illegible]

მტრის სულ ცოტა 4 ტანკი ან 4 ქვემეხი.

ვინც მტრის ცეცხლქვეშ ბრძოლის ველიდან გაიყვანა მტრის მიერ დაზიანებული სულ ცოტა 3 ტანკი.

ვინც არ შეუშინდა საფრთხეს და პირველი შეიჭრა მტრის მიწურ საცეცხლე წერტში (ხანგრძლივ საცეცხლე წერტსა, სანგარსა ან ბლინდაჟში), გაბედული მოქმედებით მოსპო

[illegible]

დაშვება და მე-10 წარმატებით-საბრძოლო გაფრენა და თავისი ჯარების განლაგების რაიონში დაშვება იმ ტერიტორიაზე, რომელიც დაკავებულია მტრის მიერ.

ვინც შესძლო საომარ პირობებში აღედგინა, აეთვისებინა და გამოეყენებინა ნადავლი თვითმფრინავი.

ვინც შესძლო მტრის ცეცხლქვეშ მოწინავე

[illegible]

მტერს დაეშვა ამ აეროდრომზე თვითმფრინავები.

ვინც პირადად მოსპო მტრის 2 მძიმე ან საშუალო ან 3 მსუბუქი ტანკი (ჯავშნიანი მანქანები), ან ქვემეხის გუნდის შემადგენლობაში ყოფნისას—3 მძიმე ან საშუალო ან 5 მსუბუქი ტანკი (ჯავშნიანი მანქანები).

ვინც არტილერიის ცეცხლით ჩაახშო მტრის სულ ცოტა 5 ბატარეა.

ვინც არტილერიის ცეცხლით მოსპო მტრის სულ ცოტა 3 თვითმფრინავი.

ვინც ტანკის ეკიპაჟში ყოფნისას წარმატებით შეასრულა სამი საბრძოლო დავალება მტრის საცეცხლე საშუალებათა და ცოცხალი ძალის მოსპობის დარგში ან ბრძოლებში მოსპო

[illegible]

ლობაში ყოფნისას—25-ე წარმატებით-საბრძოლო გაფრენა.

საკორექტირო ავიაციის ეკიპაჟის შემადგენლობაში ყოფნისას—მე-10 წარმატებით-საბრძოლო გაფრენა.

კავშირგაბმულობის ავიაციის ეკიპაჟის შემადგენლობაში ყოფნისას—50-ე წარმატებით-საბრძოლო გაფრენა და თავის ტერიტორიაზე დაშვება და მე-20 წარმატებით-საბრძოლო გაფრენა და თავისი ჯარების განლაგების რაიონში დაშვება იმ ტერიტორიაზე, რომელიც დაკავებულია მტრის მიერ.

სატრანსპორტო ავიაციის ეკიპაჟის შემადგენლობაში ყოფნისას—50-ე წარმატებით-საბრძოლო გაფრენა და თავის ტერიტორიაზე

[illegible]

გადაეცემა დაჯილდოებულის ოჯახს ორდენის წიგნაკთან ერთად, რასაც იგი ინახავს სამახსოვროდ.

11. სამამულო ომის ორდენის ჩამორთმევა სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სსრ კავშირის ორდენების საერთო დებულების მე-18 მუხლის წესით (სსრ კავშირის კანონთა კრებული 1936 წ. № 1, მუხლი 5).

12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სამამულო ომის ორდენით დაჯილდოებისა და ამ ორდენის ჩამორთმევის შესახებ ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი".

სამამულო ომის ორდენის აღწერილობა

პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენის ნიშანი მზადდება ოქროსაგან და წარმოადგენს ამოზნექილი ხუთქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებას, რასაც გადაკრული აქვს ლალისფერ-წითელი მინანქარი ოქროს სხივების ფონზე, რომლებიც იშლება ხუთქიმიან გაკრიალებულ ვარსკვლავად, რომლის ბოლოებიც განლაგებულია წითელი ვარსკვლავის ბოლოებს შუა.

წითელი ვარსკვლავის შუაგულში არის ნამგლისა და ჩაქუჩის ოქროს გამოსახულება ლალისფერ-წითელ მრგვალ ფირფიტაზე, რომელსაც შემოვლებული აქვს თეთრი მინანქრის სარტყელი და რომელსაც აქვს წარწერა „სამამულო ომი" და ოქროს ვარსკვლავი სარტყლის ქვემო ნაწილში. წითელ ვარსკვლავსა და თეთრ სარტყელს აქვს ოქროს რკალურები.

ოქროს ვარსკვლავის სხივების ფონზე გამოსახულია წითელ ვარსკვლავს უკან გადაჯვარედინებული შაშხანისა და ხმლის ბოლოები. შაშხანის კონდახი მიმართულია მარჯვნით და ძირს, ხმლის ვადა—მარცხნით და ძირს. შაშხანის და ხმლის გამოსახულება ოქსიდირებულია.

წითელი ვარსკვლავისა და ოქროს ვარსკვლავის ერთმანეთის პირდაპირ მდებარე ბოლოებს შუა ორდენის სიდიდე 45 მილიმეტრს უდრის. შაშხანისა და ხმლის გამოსახულების სიგრძეც 45 მილიმეტრია.

ორდენის ნიშანი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია წითელი მუარის ლენტგადაკრულ ფირფიტასთან. ფირფიტას მეორე გვერდზე აქვს ქანჩიანი კუთხვილი შტიფტი ორდენის მისამაგრებლად ტანსაცმელზე.

მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენის ნიშანი, პირველი ხარისხის ორდენისაგან განსხვავებით, ვერცხლისაგან მზადდება.

ქვემო სხივიანი ვარსკვლავი გაკრიალებულია; შაშხანისა და ხმლის გამოსახულება ოქსიდირებულია. ორდენის დანარჩენი ნაწილები, რომლებიც მოუმინანქრებული არ არის, მოოქრულია.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ორდენებითა და მედლებით იმ პარტიზანების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი ისახელეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ზურგში პარტიზანული ბრძოლის დროს

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ზურგში პარტიზანული ბრძოლის დროს გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

ლენინის ორდენით

1. მიხეილ ივანეს-ძე დიაჩკოვი,
2. მინაი ფილიპეს-ძე შმირევი.

წითელი დროშის ორდენით

1. დიმიტრი იაგორის-ძე ვორონოვი,
2. იაკობ ზაქარიას-ძე ზახაროვი,
3. გრიგოლ სტეფანეს-ძე კურმელევი,
4. რომან არქიპოს-ძე მიხაილოვი,
5. დანიელ ფედოტის-ძე რაიცევი,
6. ვლადიმერ ვასილის-ძე სტაროვოიტოვი,
7. სტეფანე ტროფიმეს-ძე შაკოვი,
8. რიჩარდ ვლადისლავის-ძე შკრედო.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. მიხეილ ივანეს-ძე კუპჩენკო,
2. ივანე სიმონის-ძე კარპოვიჩი,
3. ექვთიმე თევდორეს-ძე კლიმოვიჩი,
4. ივანე თევდორეს-ძე მიკანენკო,
5. ივანე სტეფანეს-ძე ნესტერენკო,
6. ივანე არკადის-ძე სავინი.

მედლით „მამაცობისათვის"

1. თევდორე პროკოფის-ძე ერშოვი,
2. ტროფიმე ივანეს-ძე ზაიცევი,
3. პავლე სიმონის-ძე კრავჩენკო,
4. ალექსანდრე ტროფიმეს-ძე კონდრატენკო,
5. ანდრია მაქსიმეს-ძე პოლიავკინი,
6. ივანე საველის-ძე შიშპარენკო.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"

1. ივანე ივანეს-ძე გვოზდევი,
2. მაქსიმე ივანეს-ძე ეკუბენკო,
3. პეტრე ივანეს-ძე ზიაზიულინი,
4. იაგორ ალექსის-ძე ზაბავლენკო,
5. თევდორე პავლეს-ძე კლიმოვიჩი,
6. მირონ ივანეს-ძე კუპჩენკო,
7. პართენ დიმიტრის-ძე კოროლკოვი,
8. ვასილ უსტინის-ძე სოლოვიანოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 15 მაისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის ვერხ-ისეტსკის მეტალურგიული ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის სპეციალური ფოლადების წარმოების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის ვერხ-ისეტსკის მეტალურგიული ქარხანა დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 18 მაისი.

წითელი არმიის რიგითი და უფროსთა შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

წითელი დროშის ორდენით — წითელარმიელი სერგი დენისის-ძე ბოიგვაძე.

წითელი ვარსკვლავის ორდენით — უმცროსი სერჟანტი მიხეილ ალექსის-ძე წიკლაური.

მედლით „მამაცობისათვის" — სერჟანტი პეტრე დავითის-ძე შავხელაშვილი, წითელარმიელი სერგი ზესარიონის-ძე კუკუშაძე.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის" — ზემდეგი გიორგი ნიკოლოზის-ძე ყრუაშვილი, წითელარმიელი დავით ივანეს-ძე თეთრაძე.

სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის მუშაკთა და მოსწავლეთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

თავდაცვის მრეწველობისა და ტრანსპორტის კვალიფიციურ მუშათა და მასობრივი პროფესიების მუშათა მომზადების საქმეში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 18 მაისის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის მუშაკები და მოსწავლეები.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში დაჯილდოებული არიან:

„საპატიო ნიშნის" ორდენით:

მიხეილ ფილიპეს-ძე ჩხეიძე, შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

ალექსანდრე ნესტორის-ძე ჯიქია, № 3 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი, გიორგი ნიკოლოზის-ძე ბარძიმოვი, № 11 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

გიორგი მელიტონის-ძე ქავთარაძე, რკინიგზის № 4 საფაბრიკო-საქარხნო სკოლის საწარმოო სწავლების უფროსი ოსტატი.

დიმიტრი პეტრეს-ძე ჟუჟიაშვილი, რკინიგზის № 1 სკოლის საწარმოო სწავლების ოსტატი.

დაველიტი პლატონის-ძე იაშვილი, რკინიგზის № 1 საფაბრიკო-საქარხნო სკოლის საწარმოო სწავლების ოსტატი.

ვლადიმერ თეიმურაზის-ძე ჭანკვეტაძე, № 13 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში. (საქინფორმი).

საქდესი უარჰყოფს

გერმანიის საინფორმაციო ბიურომ და მის კვალდაკვალ მისმა დამქაშმა— იტალიის სტეფანის სააგენტომ გაავრცელეს ცნობა, ვითომ საბჭოთა წყალქვეშა ნავმა 19 მაისს ღამით ბოსფორის შესასვლელთან თურქეთის მოტორიანი გემი „დუატეპა" ჩასძირა. საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ გერმანელ-იტალიელი პროვოკატორების ეს ცნობა უტიფარ სიცრუეს წარმოადგენს.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღება 1942 წელს

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა დასახა 1942 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მსმენელთა მიღების ღონისძიებანი. დადგენილი ახალი წესების თანახმად, წელს უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ მიღებული იქნებიან ფრიადოსნები და ის პირები, რომლებმაც 1941 და 1942 წლებში დაამთავრეს საშუალო სკოლა „კარგი" და „ფრიადი" ნიშნებით ყველა საგანში. თუ თავისუფალი ადგილები იქნება, უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ მიღებული იქნებიან აგრეთვე ის პირები, რომლებმაც 1941 და 1942 წლებში გამოცდები ჩააბარეს საშუალო სკოლაში არა „ფრიადზე" და „კარგზე". ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში ადგილების ნაკლებობისას მიღება მოხდება საკონკურსო გამოცდებით, რომლებიც ჩატარდება 15-დან 25 აგვისტომდე (დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებსა და განყოფილებებში — 1-დან 15 სექტემბრამდე).

განცხადებანი უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას 1 ივნისიდან 31 ივლისამდე, დაუსწრებელ ინსტიტუტებსა და განყოფილებებში კი — 31 აგვისტომდე.

ფრიადოსნები და ის პირნი, რომლებმაც 1941-1942 წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა „ფრიადი" და „კარგი" ნიშნებით, სტუდენტებად ჩაირიცხებიან 1 ივნისიდან 31 ივლისამდე, უგამოცდოდ მისაღები ყველა დანარჩენი პირნი — 1-დან 15 აგვისტომდე, ხოლო ის პირნი, რომლებიც გამოცდებით უნდა იქნან მიღებულნი,—25-დან 29 აგვისტომდე.

იმ პირებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით არ იქნებიან მიღებული ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, შეუძლიათ შეიტანონ განცხადება სხვა უმაღლეს სასწავლებელში. ამ პირთათვის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 10 სექტემბერი.

უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს ნებადართული აქვთ სტიპენდია დაუნიშნონ მიმდინარე წლის 1 მაისიდან ხელმოკლე სტუდენტებს. სამამულო ომის მონაწილეებს, რომლებიც წითელი არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დაბრუნდნენ უმაღლეს სასწავლებლებში ჭრილობის, კონტუზიის მიღების, დასახიჩრების ან ავადმყოფობის შემდეგ. სამამულო ომის მონაწილე სტუდენტები 1941-1942 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლის ფულისაგან თავისუფლდებიან. ამას გარდა, უმაღლეს სკოლაში სწავლის ფულისაგან თავისუფლდებიან წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგითი და უმცროს მეუფროსეთა შემადგენლობის რჩენაზე მყოფი პირები, რომლებიც დახმარებას იღებენ თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 26 ივნისის ბრძანებულებისა „ომიანობის დროს რიგითი შემადგენლობის და უმცროსი უფროსშემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ".

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა წინადადება მისცა უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს მაისის განმავლობაში შეაკეთონ და მოაწყონ სტუდენტთა სასადილოები, გააძლიერონ კონტროლი მათი მდგომარეობისა და მუშაობისადმი, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან ერთად მოაწყონ ახალი სასადილოები სტუდენტებისათვის, შექმნან უმაღლეს სასწავლებლებთან დამხმარე მეურნეობანი სტუდენტთა და მასწავლებელთა კვებისა და სასურსათო მომარაგების გასაუმჯობესებლად. (საქინფორმი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

21 მაისის დილის ცნობა

20 მაისის ღამის განმავლობაში ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ.

ქერჩის ნახევარკუნძულზე გრძელდებოდა ბრძოლები ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

* * *

ხარკოვის მიმართულებით გერმანელები, რომელნიც არავითარ ზარალს არ ერიდებიან, კონტრიერიშებზე გადმოდიან და ცდილობენ შეაჩერონ ჩვენი ნაწილების შეტევა. მტრის ეს ცდები მარცხით მთავრდება. ჰიტლერელებს დიდი ზარალი მოსდით ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ჩვენმა მებრძოლებმა მარტო ერთ უბანზე 700-ზე მეტი ჰიტლერელი დახოცეს და ხელთ იგდეს 1 ტანკი, 8 ქვემეხი, 15 ტყვიამფრქვევი, 22 ნაღმსატყორცნი და დიდძალი საომარი მასალა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ჯარებმა გზა გაღასჭრეს მტრის წინააღმდეგობის ორ კვანძს შუა. გერმანელებმა სცადეს მდგომარეობის აღდგენა, რამდენიმე უნაყოფო კონტრიერიში მოიტანეს, რის შემდეგადაც მარტო მოკლულთა სახით 600 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

* * *

ერთი ჩვენი ნაწილის (ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი) არტილერისტებმა და ნაღმსატყორცნელებმა დახოცეს 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 9 დაზგის ტყვიამფრქვევი და დიდძალი ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

მებრძოლთა ჯგუფმა უფროს ლეიტენანტ ამხ. ტროფიმოვის მეთაურობით შაშხანების ზალპით დააზიანა მტრის თვითმფრინავი. ბომბდამშენს ცეცხლი წაეკიდა და მიწაზე ჩამოვარდა. ერთი მფრინავი დაიწვა, მეორე წამოყვანილია ტყვედ.

* * *

წითელარმიელმა ჰაფიზ კარიმულინმა მაისის 16 დღის განმავლობაში 45 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა.

* * *

ამხ. ვ-ს და ო-ს რაზმების ლენინგრადელ პარტიზანთა ჯგუფმა მტრის ზურგში ააფეთქა რკინიგზის ვაკისი. მეორე ადგილას ჩასაფრებულმა პარტიზანებმა უეცრად აუტეხეს სროლა მტრის მატარებელს, მწყობრიდან გამოიყვანეს ორთქლმავალი და დახოცეს 50-ზე მეტი ჰიტლერელი. რამდენიმე დღის შემდეგ პარტიზანები თავს დაესხნენ გერმანელთა გარნიზონს დასახლებულ პუნქტ პ-ში; ბრძოლის დროს 74 ოკუპანტი მოჰკლეს და გერმანელთა ერთი ტანკი დასწვეს.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა ასეულის მეთაურმა ობერ-ლეიტენანტმა გუსტავ ფ-მ განაცხადა: „ჩემს ასეულში 180 ჯარისკაცი იყო. შემდეგ შევსება მივიღეთ 40 კაცის რაოდენობით. უკანასკნელი ბრძოლის დაწყებისას ასეულში 25 ჯარისკაცი-ღა იყო. მე ერთი ოცეული მომიმატეს კიდევ სხვა ქვეგანაყოფიდან და მიბრძანეს, რადაც უნდა დამჯდომოდა, შემენარჩუნებინა პუნქტი ა. მე ერთი ქვემეხი და ერთი ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი მქონდა. ღამით რუსები ზურგში შემოგვეპარნენ, შემდეგ სოფელში ტანკები შემოიჭრნენ და ქვემეხები გასრისეს. მე დავინახე, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა ჰქონდა და წინადადება მივეცი ჯარისკაცებს, ტყვედ დანებდით-მეთქი“.

* * *

მოგვყავს ამონაწერი გერმანელ ჯარისკაც გერმან შვარცის გაუგზავნელი წერილისა თავისი სიძის — ავგუსტ ბარესადმი: „...ჩვენ უკან ვიხევთ. რუსების თვითმფრინავები ყოველდღე მოფრინდებიან ხოლმე და გვბომბავენ... ყოველდღე რამდენიმე ცხენი გვეხოცება, მაგრამ რა მენაღვლება, დაიხოცოს—ხორცი მაინც გვექნება! კარტოფილი აღარა გვაქვს და პურს სულ ცოტას გვაძლევენ. ყოველივე ამას გავუძლებდით, პარტიზანები რომ არ იყვნენ!“

* * *

ვარშავის საქონლის სადგურში სამხედრო ეშელონის დგომის დროს გაიქც-გამოიქცა 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი, რომელნიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოჰყავდათ. დარჩენილმა ჯარისკაცებმა უარი სთქვეს გზის განგრძობაზე, და ოფიცრები იარაღით ერეკებოდნენ მათ ვაგონებში. ეს უკვე პირველი შემთხვევა როდია, რომ სამარშო ბატალიონების ჯარისკაცები ფრონტზე წასვლას უარობენ.

21 მაისის საღამოს ცნობა

21 მაისის განმავლობაში ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ.

იზიუმ-ბარვენკოვოს მიმართულებით მტრის იერიშები მოგერიებულია.

ქერჩის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში გრძელდებოდა ბრძოლები.

დაზუსტებული ცნობებით, 19 მაისის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის არა 27 თვითმფრინავი, როგორც წინათ ვიუწყებოდით, არამედ 40 თვითმფრინავი.

20 მაისის განმავლობაში მოსპობილია მტრის 65 თვითმფრინავი. ჩვენ 23 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

20 მაისის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს და დააზიანეს გერმანელთა 74 ტანკი, 272 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 55 საზიდარი სამხარ მასალიანად, 31 საველე და საზენიტო ქვემეხი, 15 ნაღმსატყორცნი და ტყვიამფრქვევი, ბენზინგადამსხმელი მანქანა, 5 ტრაქტორი-საწევარი, პროჟექტორი, ჩასძირეს 5 კატერი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მტრის 7 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა და ხელთ იგდო დიდძალი დავლა და ტყვე. ამხ. სკლიაროვის ქვეგანაყოფმა დღის განმავლობაში მტრის 4 კონტრიერიში მოიგერია. გერმანელებმა 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 7 ქვემეხი, 12 ტყვიამფრქვევი, 8 ნაღმსატყორცნი, 4 ავტომანქანა სამხარ მასალიანად და რადიოსადგური.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა არტილერიამ მოსპო მტრის ორი საარტილერიო და 4 ნაღმსატყორცნი ბატარეა, გაანადგურა 15 მიწური საცეცხლე წერტი და დახოცა სულ მცირე 120 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ტანკსაწინააღმდეგო თოფების გუნდებმა, ამხ. ფედორენკოს და პუზნოვის მეთაურობით, გერმანელთა 4 ტანკი დააზიანეს.

* * *

მზვერავები—ათეულის მეთაური ბოდროვი, მებრძოლები — ხლიუსტოვი, ტუპაკოვი და პეტროვი გერმანელთა მიწური საცეცხლე წერტების მახლობლად ჩასაფრდნენ. მიწურ საცეცხლე წერტებთან მალე 40-მდე ჰიტლერელი გამოჩნდა. მზვერავებმა 30 გერმანელი მოჰკლეს გრანატებითა და ხელის ტყვიამფრქვევით და უზარალოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ლეიტენანტმა ამხ. გელიამ და პოლიტხელის მოადგილემ ამხ. დოლგინმა ხელის ტყვიამფრქვევითა და ავტომატით ჩამოაგდეს მტრის თვითმფრინავი „ჰენშელ-126“.

* * *

მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXIV წლისთავის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც სმოლენსკის ოლქის გერმანელთა მიერ დაკავებულ რაიონებში მოქმედებს, დიდი ზარალი მიაყენა ოკუპანტებს. პარტიზანებმა თავიანთი საბრძოლო მოქმედების განმავლობაში 3 ათასზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს და ტყვედ ჩაიგდეს 125 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. განადგურებულია გერმანიის ჯარის ნაწილებისა და ქვეგანაყოფების 12 შტაბი, მოსპობილია 3 ტანკი, 4 ქვემეხი, 18 ნაღმსატყორცნი, 43 ტყვიამფრქვევი, 3 რადიოსადგური, 11 საწყობი სამხარ მასალიანად, 9 საწყობი სურსათიანად. პარტიზანთა რაზმმა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს წაართვა 6 ქვემეხი, 25 ნაღმსატყორცნი, 42 ტყვიამფრქვევი, 650 შაშხანა, 29 ავტომატი, 60 რევოლვერი, 2.500 გრანატი, 2 რადიოსადგური, 5 მოტოციკლი, 30 ველოსიპედი, 172 ცხენი, 250 საზიდარი, 3 სამზარეულო და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

მოკლულ გერმანელ უნტერ-ოფიცერს, რომლის გვარის გამორკვევა ვერ მოხერხდა, უბის წიგნაკი აღმოაჩნდა. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამონაწერს ამ უბის წიგნაკიდან: „მივდივართ ფრონტზე. ჩვენს ასეულში მხოლოდ რამდენიმე ძველი ჯარისკაცი დარჩა. ახალწვეულები ღელავენ... რუსები ჩვენს მარშრუტს არღვევენ. დიდხნობით ვდგევართ და ველოდებით, სანამ გზა განთავისუფლდება. რაც უფრო ვუახლოვდებით ფრონტს, მით უფრო ნელა მივიწევთ წინ. გუშინ თავს დაგვესხნენ რუსების თვითმფრინავები. ცოცხლად გადარჩენილ არც ერთ ჯარისკაცს არ დაავიწყდება გუშინდელი დღე. ჩვენ ჯერ კიდევ ახლოს არ მივსულიყავით მტერთან, რომ მიწამ უკვე შეიწოვა ბევრი ჩვენი ჯარისკაცის სისხლი. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ძალიან დიდია. ულმში შევსებული 56-ე ქვეითი პოლკიდან მალე მხოლოდ სახელწოდება დარჩება. მეზიზღება ეს ომი. ომის ბედი ძალიან ცვალებადი გახდა...“.

* * *

მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს უპოვნეს წერილი, რომელსაც იგი თავის მამას უგზავნიდა. წერილში ნათქვამია: „...ახლა მოგიყვები ჩვენი შავბნელი მდგომარეობის ამბავს. არ ვიცით, თუ რა არის მოსვენება. აქ საფრანგეთიდან უკვე მოვიდნენ ახალი დივიზიები. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც არა გვცვლიან. გული გეკუმშება. შენ მართალი ხარ: რუსეთზე ეს გალაშქრება ბედუკუღმართ ავანტიურად გადაიქცა“.

* * *

ნორვეგიაში გერმანელ ოკუპანტთა ხელისუფლებმა მასობრივად დააპატიმრეს მასწავლებლები, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს. ოსლოს ოლქის 40 მასწავლებელი მცირე გემით გაიყვანეს გაშლილ ზღვაში. გემს სამხედრო კატერი მიუახლოვდა, რომელმაც გემიდან გადაიყვანა ეკიპაჟი და მცველები, რის შემდეგ გემი ყველა პატიმრიანად ჩასძირა. შემთხვევით გადარჩა მხოლოდ ერთი მასწავლებელი. იგი ნორვეგიელმა მებადურებმა გადაარჩინეს.

მოვაწყოთ ქიმიური მრეწველობის საწარმოთა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის კემეროვოს აზოტსასუქის ქარხნისა და კრასნოურალსკის ქიმიური ქარხნის მუშათა — ქალთა და კაცთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მიმართვა ქიმიური მრეწველობის ყველა მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო, ქიმიური მრეწველობის მუშებო — ქალებო და კაცებო, ინჟინრებო, ტექნიკოსებო და მოსამსახურენო!

საპირველმაისო ბრძანებაში სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა წითელ არმიასა და მთელ ჩვენს ქვეყანას დაუსახა ამოცანა — „მიაღწიოს იმას, რომ 1942 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებისა და ჰიტლერელი არამზადებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების წელი გახდეს!“

ჩვენს ქვეყანაში წითელი არმია განუყოფელია ხალხისაგან, ამიტომ ამხანაგ სტალინის ბრძანებამ შრომითი აღმავლობის ახალი აზვირთება გამოიწვია სოციალისტური მრეწველობის მუშებში, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებში, გამოიწვია მგზნებარე სურვილი დაუღალავად იმუშაონ ფრონტის საჭიროებისათვის.

ქიმიური მრეწველობა უმნიშვნელოვანეს პროდუქციასა და ნაწარმებს იძლევა საომარი მასალებისა და საჭურვლის დასამზადებლად, საავიაციო და სატანკო მრეწველობისათვის, ფრონტისა და ზურგისათვის, მთელი სახალხო მეურნეობისათვის.

ჩვენთვის, ქიმიური მრეწველობის მუშაკებისათვის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქისათვის, არ არსებობს იმაზე დიდი პატივი, ვიდრე მთელი ჩვენი ძალა და ცოდნა მოვახმაროთ სამშობლოს და ფრონტს საძულველი ფაშისტი ოკუპანტების სრული განადგურებისათვის.

ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა თავიანთი პროდუქციითა და ნაწარმებით მთლიანად უნდა უზრუნველჰყონ საომარი მასალების, თვითმფრინავების, ტანკებისა და საჭურვლის წარმოება, მეტალურგიული მრეწველობა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგები.

სამშობლოს წინაშე ჩვენი მოვალეობის შეგნებით, ჩვენ, საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის კემეროვოს აზოტსასუქის ქარხნისა და კრასნოურალსკის ქიმიური ქარხნის მუშები — ქალები და კაცები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი, მეტალურგთა, ტანკმშენებელთა და ავიამუშაკთა მაგალითისამებრ, წინადადებას ვიძლევით დაწყებულ იქნას ქიმიური მრეწველობის საწარმოთა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, რათა უზრუნველვყოთ პროდუქციის გამოშვების სახელმწიფოებრივი გეგმის უთუო შესრულება და გეგმის გადამეტებით დავამზადოთ ყოველივე ის, რაც საჭიროა საომარი მასალების, საჭურვლის, ტანკებისა და თვითმფრინავების წარმოების გასადიდებლად.

თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ვადამდე დავამთავროთ წარმოების მაისის გეგმის შესრულება. უზრუნველვყოთ 1942 წელს ქიმიური პროდუქციის გამოშვება დაწესებული სახელმწიფოებრივი გეგმის 5 პროცენტის გადამეტებით.

2. უზრუნველვყოთ ჩვენი ქარხნების საწარმოო საამქროების თანაბარი მუშაობა სადღეღამისო გრაფიკის მიხედვით, აგრეთვე ტექნოლოგიური დისციპლინის მტკიცედ დაცვა და წარმოების კულტურის ამაღლება.

3. მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითს გადიდებას: **საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის კემეროვოს აზოტსასუქის ქარხანაში** — მეორე კვარტალში 5 პროცენტით და მთელი წლის განმავლობაში — 5 პროცენტით; **კრასნოურალსკის ქიმიურ ქარხანაში** — მეორე კვარტალში—10 პროცენტით და მთელი წლის განმავლობაში — 4 პროცენტით.

4. მივაღწიოთ ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის მაქსიმალურ შემცირებას. ყველა ხარჯებში უმკაცრესი ეკონომიის დაცვით, უზრუნველვყოთ 1942 წელს პროდუქციის თვითღირებულების დამატებითი შემცირება დაწესებული დავალების გადამეტებით კემეროვოს აზოტსასუქის ქარხანაში — 2 პროცენტით, კრასნოურალსკის ქიმიურ ქარხანაში—2 პროცენტით.

5. რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელების გზით 1942 წელს დავზოგოთ კემეროვოს აზოტსასუქის ქარხანაში 1 მილიონი მანეთი და კრასნოურალსკის ქიმიურ ქარხანაში — 300 ათასი მანეთი.

6. შევამციროთ 1942 წელს დამხმარე მუშათა და კანტორის მოსამსახურეთა რიცხვი 8-10 პროცენტით, გადავიყვანოთ ისინი საწარმოო უბნებზე სამუშაოდ.

7. მოვაწყოთ მუშათა სისტემატური საწარმოო სწავლება. წლის განმავლობაში ახალ მუშათაგან მოვამზადოთ კვალიფიციური სამუშაოსათვის კემეროვოს აზოტსასუქის ქარხანაში 300 კაცი, კრასნოურალსკის ქიმიურ ქარხანაში — 150 კაცი.

8. სანიმუშოდ დავაყენოთ სასადილოების, ბუფეტების, მაღაზიების, საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობათა მუშაობა იმისათვის, რომ სავსებით უზრუნველვყოთ ჩვენი მეურნეობის ბოსტნეულითა და კვების პროდუქტებით ქარხნის მუშაკები.

ჩვენ მოწოდებით მივმართავთ ქიმიური მრეწველობის საწარმოთა ყველა მუშას — ქალსა და კაცს, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს ჩაებან ქიმიკოსთა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და უზრუნველჰყონ ქიმიური პროდუქციის გამოშვების სახელმწიფოებრივი გეგმის უთუო შესრულება მთლიანად და გადაჭარბებით.

ამასთანავე ჩვენ მივმართავთ მრეწველობის სხვა იმ დარგებისა და ტრანსპორტის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ყველა კოლექტივს, რომლებზედაც დამოკიდებულია ქიმიურ საწარმოთა შეუფერხებელი მუშაობა:

ამხანაგებო, ფერადი მეტალურგიის მუშაკებო! შეუფერხებლივ და სავსებით უზრუნველჰყავით ქიმიური ქარხნები მაღალი ხარისხის ნედლეულით, კოლჩედანით და გაზით.

ამხანაგებო, შავი მეტალურგიის მუშაკებო! შეუფერხებლივ და სავსებით უზრუნველჰყავით ქიმიური ქარხნები კოქსით, ხარისხობრივი გაზით, სპეცფოლადითა და სხვა სახის ლითონებით.

ამხანაგებო, რკინიგზისა და წყალთა ტრანსპორტის მუშაკებო! მოაწყვეთ შეუფერხებელი ზიდვა ნედლეულისა ქიმიური ქარხნებისათვის, აგრეთვე მზა ქიმიური პროდუქტებისა და ნაწარმებისა, დროულად მიუტანეთ ისინი მომხმარებელ ქარხნებს.

ამხანაგებო, ელექტროსადგურთა მუშაკებო! უზრუნველჰყავით ელექტროენერგიისა და ორთქლის შეუფერხებელი მიწოდება ქიმიური ქარხნებისათვის.

ამხანაგო მშენებელნო! ქიმიური მრეწველობის ახალ სიმძლავრეთა გამოყენების უზრუნველსაყოფად მოაწყვეთ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ვადამდე და ხარისხიანი შესრულება იმ ქიმიურ საწარმოებში, რომლებიც შენდება და ფართოვდება.

ჩვენ ვთხოვთ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს დააწესოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა ქიმიური მრეწველობის საწარმოთა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის.

ჩვენ ვთხოვთ საკავშირო პროფსაბჭოს და ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატს ყოველთვიურად შეაჯამონ ქიმიურ საწარმოთა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ამხანაგო ქიმიკოსებო, ჩაებით შეჯიბრებაში!

დავამზადოთ მეტი ქიმიური პროდუქტი და ნაწარმი საომარი მასალების, საჭურვლის, ტანკებისა და თვითმფრინავების წარმოების გასადიდებლად!

უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

დიდი ბელადისა და ბრძენი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წინ, გამარჯვებისაკენ!

მიმართვა განხილული და მიღებულია 1942 წლის 18 მაისს კემეროვოს აზოტსასუქის ქარხნისა და კრასნოურალსკის ქიმიური ქარხნის მუშათა კრებებზე ბრიგადებისა, ცვლებისა და საამქროების მიხედვით.

ერთ ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის 6 თვითმფრინავი

სამხრეთის ფრონტი, 21 მაისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი თვითმფრინავების ჯგუფი საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ უკან ბრუნდებოდა. საბჭოთა მანქანების მწყობრს სამი მიმართულებიდან დაესხა თავს მტრის 9 ავიაგამანადგურებელი. ჩვენი ბომბდამშენები გულმშვიდად განაგრძობდნენ გზას, ხოლო ავიაგამანადგურებელთა შეიდეულმა კონტრიერიში მიიტანა სვავებზე. მფრინავებმა—პროკაზნიკოვმა, ეგოროვმა და შტუკინმა თითო „მესერშმიტი“ ჩამოაგდეს ოსტატური მანევრით. რამდენიმე წუთის შემდეგ მფრინავებმა — პავლოვმა, კალუგინმა და შტუკინმა, რომლებიც გაქცეულ ფრიცებს დაედევნენ, კიდევ 3 „მესერშმიტი“ ჩამოაგდეს. საჰაერო ბრძოლა, რომელშიც ჩვენმა მფრინავებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, 15 წუთს გრძელდებოდა.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა მანჰაიმს

ლონდონი, 20 მაისი (საკდესი). 19 მაისს, ღამით, ინგლისის ავიაცია თავს დაესხა მანჰაიმის სხვადასხვა ობიექტს. გარდა ამისა, ინტენსიურად დაიბომბა წყალქვეშა ნავების ბაზა სენ-ნაზერში. მანჰაიმში — სიდიდით ევროპის მეორე სამდინარო ნავსადგურში — მრავალი მნიშვნელოვანი ქარხანა არის, მათ შორის ქიმიური ქარხანა „ბადიშე ანილინი“, დაიმლერ-ბენცისა და სხვა ქარხნები. სანაპირო თავდაცვის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის აეროდრომებს საფრანგეთსა და ჰოლანდიაში.

კამათი თემთა პალატაში

კრიპსის გამოსვლა

ლონდონი, 21 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, თემთა პალატაში განახლდა კამათი სამხედრო მდგომარეობის შესახებ. კამათის განახლების წინ კრიპსმა განაცხადა: ჩერჩილი კამათში მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან იგი ამას წინათ გამოვიდა განცხადებით, რომელსაც მეტს ვერაფერს დაუმატებსო.

ყოფილმა სამხედრო მინისტრმა ჰორ ბელიშამ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად ინგლისში ოპტიმისტური განწყობილება სჭარბობს, რაც განსაცვიფრებელ კონტრასტს წარმოადგენს თებერვალში არსებულ შეშფოთებასთან, როცა ხალხი იაპონელთა აგრესიის პირველი დარტყმის შთაბეჭდილებას განიცდიდა. ჰორ ბელიშამ აღნიშნა, რომ მოკავშირეებს შეუძლიათ გამხნევდნენ წითელი არმიის საბრძოლო მოქმედებით. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ, მეორე მხრივ, შეჩერებული არ არის იაპონელთა წინსვლა. შემდეგ ჰორ ბელიშამ განაცხადა: საჭიროა მტრის ერთიან სტრატეგიას მოკავშირეთა საკუთარი ერთიანი სტრატეგია დავუპირისპიროთო.

ლეიბორისტმა შინუელმა მოითხოვა დაარწმუნონ პალატა, რომ მთავრობას განზრახვა აქვს შეუტიოს მტერს ევროპის კონტინენტზე. კამათში მონაწილეთ პასუხი გასცა კრიპსმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხედრო კაბინეტის წევრები ითვალისწინებენ ახლანდელი მდგომარეობის სერიოზულობას. კრიპსმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა ძნელია ჯარებისა და ავიაციის სწრაფად გადაყვანა უდიდეს მანძილზე, როდესაც ვითარება სწრაფად იცვლება, და განაცხადა: „ამ მხრივ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, ჩვენთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვთ. გერმანელებსა და იტალიელებს ევროპაში მოეპოვებათ შინაგანი საკომუნიკაციო ხაზები და შეუძლიათ სწრაფად გადაიყვანონ ჯარები ერთი ფრონტიდან მეორეზე, მაშინ როდესაც ჩვენ მიმოსვლა მუდამ შორი გზით გვიხდება. იაპონელები, რომლებმაც დროებით მოიპოვეს კონტროლი წყნარ ოკეანეზე, შინაგანი საზღვაო გზების უპირატესობით სარგებლობენ. ამან საშუალება მისცა მათ სწრაფად მოეხდინათ ძალების კონცენტრაცია იქ, სადაც იერიშის მიტანას ფიქრობდნენ; ეს გარემოება კი მეტისმეტად აძნელებდა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლისათვის ადგილზე გაეთვალისწინებინა ესა თუ ის იერიში, რომელიც მზადდებოდა, და სწრაფად მოეხდინა თავისი ძალების კონცენტრაცია ამა თუ იმ პუნქტში. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში გასაკვირველია, რომ უფრო უარესი შედეგები არ მივიღეთ“.

კრიპსი შეეხო იმ მარცხს, რომელიც ინგლისმა განიცადა წყნარი ოკეანის რაიონში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრძოლის ველზე მარცხი ყოველთვის როდი წარმოადგენს დაუდევრობის ან სისულელის შედეგს. იგი შეიძლება იმის შედეგი იყოს, რომ ამა თუ იმ რაიონში მტერი უფრო ძლიერია; ამის მიუხედავად, მაინც საჭიროა ბრძოლა ამ მტერთან, რათა შეჰბოჭო მისი ძალები, ან სხვა რაიმე მიზნებისათვის.

რაც შეეხება მოთხოვნას, რომ გამოძიებულ იქნას, თუ რა მოხდა სინგაპურში, — სთქვა კრიპსმა,—ამ საკითხის გულდასმით განხილვის შემდეგ მთავრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთი გამოძიება არ შეესაბამება ომის ეფექტიურად წარმოების ინტერესებს.

შემდეგ კრიპსი შეეხო მალტის დაცვის საკითხს. მან სთქვა:

„საეჭვოდ მიმაჩნია, რომ პალატას, და ჩვენს ქვეყანას გათვალისწინებული ჰქონდეთ იმ იერიშების უდიდესი მასშტაბები, რომლებიც მალტამ განიცადა, და ის, თუ რა დიდძალი თვითმფრინავის გაგზავნა მოგვიხდა მალტაზე ამ თავდასხმისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. აპრილის განმავლობაში გერმანიის თვითმფრინავებმა 5 ათასი თვითმფრინავთავდასხმა მოახდინეს მალტაზე და კუნძულს უფრო მეტი ბომბი დააყარეს, ვიდრე ინგლისს რომელიმე ერთი თვის განმავლობაში ინგლისზე საჰაერო იერიშების მიტანის ყველაზე უარესი პერიოდის მანძილზე. თუ მხედველობაში მივიღებთ მალტის სიდიდეს ჩვენი ქვეყნის სიდიდესთან შედარებით, მაშინ გასაგები გახდება, თუ რამდენად კონცენტრირებული იყო ეს იერიშები. გერმანიის ავიაციის მნიშვნელოვანი ნაწილი მალტის წინააღმდეგ იყო გამოყენებული და ამ რაიონში იყო დაბანდებული.

რაც შეეხება ავსტრალიას, ეს დომინიონი, ოპერატიული თვალსაზრისით, ამერიკის დახმარების სფეროში აღმოჩნდა; მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ მთავრობის თვალსაზრისით ავსტრალიამ მხოლოდ ამერიკის იმედი უნდა იქონიოს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია, იმისათვის, რომ ისეთივე დახმარება გავუწიოთ ავსტრალიას მისთვის მძიმე ჟამს, როგორიც მან გვიწია ჩვენთვის მძიმე ჟამს“.

კრიპსი შეეხო ინგლისის ავიაციის მიერ გერმანიის დაბომბვის საკითხს და სთქვა, რომ ეს დაბომბვა არამც თუ ანადგურებს გერმანიის მრეწველობას და ძლიერ გავლენას ახდენს გერმანელი ხალხის სულიერ განწყობილებაზე, არამედ „გერმანიაში აჩერებს და რუსეთის ფრონტზე არ უშვებს ყოველგვარი სახის საჰაერო თავდაცვის დიდ ძალებს. ჩვენი აზრით, ეს რუსეთის წინააღმდეგობისათვის ერთგვარ მატერიალურ დახმარებას წარმოადგენს და ეს საუკეთესო მეთოდია, რომლითაც შეგვიძლია ეს დახმარება გავუწიოთ მანამდე, ვიდრე საშუალება გვექნება დავიწყოთ ევროპის კონტინენტზე გულდასმით მომზადებული თავდასხმა, რაც ჩვენ განზრახული გვაქვს“.

ინდოეთის საკითხზე კრიპსმა განაცხადა: „მთავრობას სრულიადაც არ აუღია ხელი მოლაპარაკებაზე ინდოეთის შესახებ. მთავრობა ცდილობს, რომ ეს საკითხი გადაჭრილ იქნას, როგორც კი შესაძლებელი იქნება“.

სამხედრო წარმოების საკითხზე კრიპსმა განაცხადა, რომ ამჟამად მისი ოდენობა დიდია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნას ომის ყველა ასპარეზიდან მიღებული ყველა განაცხადი. „სამხედრო კაბინეტმა გადასწყვიტა, რომ ჩვენი რუსი მოკავშირეები პრიორიტეტით ისარგებლებენ, რათა უზრუნველყოფილ იქნას საჭურვლის მიწოდება იმ ოდენობით, რასაც მოსკოვში დავპირდით. რუსეთისათვის დახმარების გაწევის ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ რუსეთის არმიები გერმანიის არმიების ძირითად მასას და ავიაციის უმეტეს ნაწილს აკავებენ, რითაც თავიდან გვაცილებენ ინგლისზე თავდასხმისა და ჩვენს ქვეყანაში შემოჭრის საფრთხეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ არსებობს ისეთი მსხვერპლი, რომლის გაღებაც არა ღირდეს რუსების მამაცურ ღონისძიებათა განგრძობის პასუხად იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ამასთან დაკავშირებით საფრთხე დაემუქრება ჩვენი ტერიტორიის ნაწილს, რამდენადაც ეს უზრუნველჰყოფს ჩვენს წინააღმდეგობას უაღრესად მნიშვნელოვან ადგილზე—თვით ინგლისში. მატერიალური წვლილი, რაც ჩვენ და შეერთებულმა შტატებმა გავიღეთ, საკმაოდ დიდი იყო იმისათვის, რომ იგი რუსებისათვის გაწეულ რეალურ დახმარებად ჩავთვალოთ; ამასთან ჩვენს მამაც მოკავშირესთან საბრძოლო თანამეგობრობა მუდამ მტკიცდებოდა“.

ამით დამთავრდა კამათი. პალატის სხდომა დროებით შეწყდა.

ჰელის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 21 მაისი (საკდესი). მორიგ პრეს-კონფერენციაზე პრესის წარმომადგენელთა მიერ მიცემული კითხვების პასუხად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა კერძოდ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სიმძლავრე და შეტევითი ოპერაციების წარმოების უნარი სულ უფრო და უფრო მატულობს. შემდეგ ჰელმა აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ამერიკის სამხედრო ძალების გადიდება და სხვა გაერთიანებული ქვეყნების სამხედრო ძლიერების ზრდა იმის პერსპექტივას ჰქმნიან, რომ ომი უფრო ადრე იქნას დამთავრებული, ვიდრე ამა წლის დასაწყისში მოელოდნენ.

გარდამავალი დროშა საუკეთესო ლუნინელ მემანქანეთა ბრიგადას

გუშინ თბილისის საორთქლმავლო დეპოში შედგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა № 214—48 ორთქლმავლის ბრიგადისადმი ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო ბრიგადების გარდამავალი დროშის გადაცემას.

კრებაზე დეპოს ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. ნანიტაშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ ინფორმაციით გამოვიდა ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო სამსახურის უფროსის მოადგილე ამხ. მეტონიძე. მან აღნიშნა, რომ სამამულო ომის დღეებში გზათა სახალხო კომისარიატის ბრძანება ლუნინური მოძრაობის შესახებ საუკეთესოდ შეასრულა საორთქლმავლო ბრიგადამ, რომელშიც შედიან მემანქანეები ამხ. ნ. ყიფიანი, გ. პაქსაშვილი, თანაშემწეები ა. ტაიროვი და ტ. სოლოღაშვილი. ამ ბრიგადამ 100.000 კილომეტრი თავისი ორთქლმავლით ისე გაირბინა, რომ ორთქლმავალს არ დასჭირებია შეკეთება და ქვაბის გარეცხვა, რითაც სახელმწიფოს მისცა 16.387 მანეთის ეკონომია და დაზოგა 44.947 კილოგრამი საწვავი მასალა. ... ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს ჟიურიმ ამ ბრიგადას მიაკუთვნა ამიერ-კავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო ბრიგადების გარდამავალი დროშა.

აღნიშნული ბრიგადისათვის გარდამავალი დროშის გადაცემის შემდეგ კრებაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამიერ-კავკასიის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. პაპუშინი, დეპოს საორთქლმავლო გუნდების კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კიკნაძე, კომკავშირული ორთქლმავლის ლუნინელი მემანქანე ამხ. პეტროვი და საორთქლმავლო დეპოს უფროსი ამხ. სარალიძე.

დასასრულ ბრიგადის სახელით ილაპარაკა ამხ. ნ. ყიფიანმა, რომელმაც პირობა დასდო, რომ დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების საპასუხოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მისი ბრიგადა კიდევ უფრო განამტკიცებს ამ მიღწევას და ბოლომდე შეინარჩუნებს საორთქლმავლო ბრიგადების გარდამავალ დროშას.

ყოველდღიურად ვუხელმძღვანელოთ ტრაქტორისტი ქალების შეჯიბრებას

საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შედგა სხდომა კომისიისა, რომელიც ხელმძღვანელობს ტრაქტორისტი ქალებისა და ქალთა სატრაქტორო ბრიგადების სოციალისტურ შეჯიბრებას.

კომისიამ განიხილა საკითხი კასპის, ასურეთის, ხაშურის, საგარეჯოს და სართიჭალის მტს-ებში მომუშავე ტრაქტორისტ ქალთა შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ საგარეჯოს და ასურეთის მტს-ებში მომუშავე ტრაქტორისტი ქალები გადაჭარბებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ტრაქტორის მართვის ტექნიკის საუკეთესოდ დაუფლებით და დაუღალავი შრომით საგარეჯოს მტს-ის ტრაქტორისტმა ქალმა მარგარიტა ხითარიშვილმა „სტზ“ ტრაქტორით 1 მაისისათვის ცვლაში მოხნა 42 ჰექტარი, ნაცვლად 32 ჰექტარისა და 13 პროცენტით დაზოგა საწვავი მასალა. ამავე მტს-ში ანა ყუშიტაშვილმა ტრაქტორის დღე-ღამის დატვირთვით 45 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 62 ჰექტარი და 1 მაისამდე 98 შრომადღე გამოიმუშავა. ტრაქტორისტი ქალი ვერა შოშვილი კი იმდენად კარგად დაეუფლა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომ გადაყვანილ იქნა მექანიკოსად.

ასურეთის მტს-ის ტრაქტორისტმა ოლღა ბიბლიძემ 11 მარტიდან 1 მაისამდე მოხნა 85 ჰექტარი, გამოიმუშავა 134 შრომადღე და დაზოგა 432 კილოგრამი საწვავი მასალა.

კომისიის სხდომაზე აღნიშნულ იქნა, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ტრაქტორისტი ქალების მუშაობა კასპისა და ხაშურის მტს-ებში. კომკავშირის ხაშურისა და კასპის რაიონული კომიტეტების მდივნები და პოლიტგანყოფილებათა უფროსების თანაშემწეები კომკავშირული მუშაობის დარგში არასაკმაოდ ეხმარებიან ტრაქტორისტ ქალებს მუშაობის უკეთ წარმართვისათვის, არასაკმაოდ ეწევიან მათ შორის პოლიტაღმზრდელობითს მუშაობას და არ ამაღლებენ ახალგაზრდა კადრების კვალიფიკაციას. ამის შედეგად ზოგიერთმა ქალმა ვერ შესძლო ტრაქტორის დამოუკიდებლად მართვა. ხაშურისა და კასპის მტს-ებში ზოგიერთი ტრაქტორისტი ქალი ვერ ასრულებს დღიურ გეგმებს, ახდენს საწვავი მასალის გადახარჯვას, ეწევა საკისარები და სხვ.

კასპის რაიონში 52 ტრაქტორისტი ქალიდან ტრაქტორზე მუშაობს 19, რომელთა შორის დღემდე უმრავლესობა არ არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. ხაშურის რაიონში კი 30 ტრაქტორისტი ქალიდან ტრაქტორზე მუშაობს მხოლოდ 2.

კომისიამ აღნიშნულ საკითხზე გამოიტანა სათანადო დადგენილება და წინადადება მისცა კასპისა და ხაშურის ალკკ რაიონულ კომიტეტებს და პოლიტგანყოფილებათა უფროსების თანაშემწეებს კომკავშირული მუშაობის დარგში უახლოეს დღეებში აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებები, შეჯიბრებაში ჩააბან ტრაქტორზე მომუშავე ყველა ქალი და ყოველდღიური დახმარებით ხელი შეუწყონ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას.

სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის“ მშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად

ქუთაისი („კომუნისტის“ კორ.). გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციისა და სტამბის მუშაკები გამოეხმაურნენ მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა თაოსნობას ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღის—5 მაისისა და „პრავდის“ 30 წლისთავის აღსანიშნავად სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის“ აგების შესახებ.

გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციისა და სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში შეიტანეს 1.400 მანეთი.

ვ. მ. ბაქრაძის სახელობის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ძირეული პრესის მუშაკებმა სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის“ მშენებლობის ფონდში უკვე შეიტანეს 600 მანეთი.

რ. კინწურაშვილი

* * *

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშის“ რედაქციისა და სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის“ მშენებლობის ფონდში სამ-სამი დღის ხელფასი შეიტანეს, რაც 800 მანეთს უდრის. მოწოდებას სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის“ აშენების შესახებ ერთსულოვნად გამოეხმაურნენ აგრეთვე რაიონის ძირეული პრესის მუშაკები. მაგალითად, სოფელ გურიანთის საკოლმეურნეო კედლის გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ სარედაქციო კოლეგიამ და აქტივმა მშენებლობის ფონდში ჩასარიცხავად 120 მან. შეაგროვეს, ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის კედლის გაზეთ „სუბტროპიკული მუშაკის“ აქტივმა—200 მანეთი.

ლ. ლოლაძე

საქ. სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოსაგან

მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვების) 23-ე ტირაჟის მოგებათა ცხრილი, რომელიც გაზეთების „კომუნისტის“ და „ზარია ვოსტოკას“ გუშინდელ ნომრებში დაიბეჭდა, არის არა ოფიციალური, არამედ საცნობო. მოგებათა განაღდება მოხდება „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული ოფიციალური ცხრილის მიხედვით.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი წინადადებას აძლევს მოქ. ბენედიქტე ქრისტეფორეს-ძე **კობერიძეს,** მარიამ ივანეს-ასულ **აბრამოვას,** სურენ ნაჰაპეტის-ძე **ლარიბიანს,** მიხეილ ანდრიანეს-ძე **მოხკალენკოს,** დავით გიორგის-ძე **მუმლაძეს,** არაქელ პეტრეს-ძე **სარქისოვს,** ელენე არქიპოს-ასულ **გოგოლაშვილს,** სამსონ იოსების-ძე **შეყლაშვილს** და ეკატერინე ვასილის-ასულ **ნიკიტინას** სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში ამხ. ლორთქიფანიძესთან.

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2858489, გაცემული თამარ ზაქარიას-ასულ **აბულაშვილის** სახელზე, და პარტბილეთი № 3728778, გაცემული მარიამ პეტრეს-ასულ **ბონდარენკოს** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი წინადადებას აძლევს მიხეილ ალექსის-ძე **შენგელიას,** ალექსი ილიას-ძე **ლაშხს,** ვარლამ კონსტანტინეს-ძე **ებანოიძეს,** შალვა დავითის-ძე ოსიაშვილს და შურა ლავრენტის-ასულ **ჯორბენაძეს** სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში.

თეატრებში

სახოპერა—22 მაისს — „კაკო ყაჩაღი“, 23 მაისს—„ჩიო-ჩიო-სან“, 24 მაისს დღისით—„ალი“. **რუსთაველის სახელობის** — 22 მაისს — „დავა“, 23 მაისს—„ღალატი“, 24 მაისს დღისით—„ღალატი“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 22 მაისს—„მეფე ერეკლე“, 23 მაისს—„გრიგალი“, 24 მაისს დღისით — „გრიგალი“. **მუსიკალური კომედიის** — 22 მაისს — „აყვავებული ბაღი“, 23 მაისს—„საქორწინო მოგზაურობა“. **სანკულტურის** —23 მაისს — „გაგრძელება იქნება“, 24 მაისს — „სტუმარ-მასპინძლობა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 22 მაისს—„სურამის ციხე“ (აბ. № 32, დასაწყ. საღ. 7 ს.). 23 მაისს—„რომეო და ჯულიეტა“ (აბ. № 39, დასაწყ. საღ. 7 ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“, ოქტომბერი — „ცარიცინის დაცვა“, დამკვრელი — „ზელიმხანი“, კომკავშირელი — „ცირკი“, სპარტაკი — „მეკარე“, ლუქსემბურგის სახ. — „მასკარადი“, 26 კომ. სახ.—„მოკრივეები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

23—24 მაისს | **ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** (ყ. მუშტაიდი) | **23—24 მაისს**

23 მაისს
კ ო ნ ც ე რ ტ ი
ეთნოგრაფიული გუნდი ხელოვნ. დამსახურებულ მოღვაწის **მ. თარხნიშვილის** ხელმძღვანელობით.

24 მაისს
თეატრალიზებული ჯაზი
ვორონინის ხელმძღვანელობით
მუს.-იუმორესკი. ბლიუზი, ბალეტი, ჯაზო—სიმღერებით, ფელეტონი.

საცირკო ატრაქციონი
„ჰ ა ე რ შ ი ფ რ ე ნ ა“

ცეკვა, ჯაზ-ორკესტრი ლინევიჩის და კოტაიგოროდსკის ხელმძღვანელობით.

დილის 11 საათიდან ბავშვებისათვის: საბავშვო რკინიგზა, თამაშობანი, კარუსელი და სხვ.

თბილისის მე-20 სკოლის პედაგოგიური პერსონალი იუწყება, რომ 24/V, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია მასწავლებელ ანტონ მუჯირის შვილის

ეთერ ანტონის-ასულ მუჯირის

სამოქ. პანაშვიდი. 623

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, მუშა-მოსამსახურეთა და სტუდენტთა შემადგენლობა იუწყება, რომ 24/V, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია ამხ. ე. ბურჭულაძის დის

ტერეზა ბურჭულაძე-დოლიძის

სამოქ. პანაშვიდი. 624

თბილისის № 5 აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 24/V, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დათიკო ლოლელიანის დედის

გოგოსი ლოლელიანის

სამოქ. პანაშვიდი. 625

თბილისის ბერიას რაისაბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 24/V, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ვ. კანდელაკის მამისა და ძმების

ევიფანე, ანტონ და კონსტანტინე კანდელაკების

სამოქ. პანაშვიდი. 626

საქ. რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები იუწყებიან ელია ყარამანის-ძე შელეგიას ცოლისძმის

პროკოფი გიგოს-ძე ხურცილავას

გარდაცვალებას. 621

ა.-ქ. ბუფეტების კანტორის და ბაზის ადმინისტრაცია და მუშაკთა კოლექტივი იუწყებიან, რომ 23/V, 3 ს. სოფ. თერჯოლაში დანიშნულია ვიქტორ რობაქიძის დედის

მარიამ თედორეს-ასულ გოცაძე-რობაქიძის

სამოქ. პანაშვიდი. 628

თბილისის არტელ „კოლექტიური შრომის“ გამგეობა იუწყება დავით ჭყონიას ძმის

ტიტე იოსების-ძე ჭყონიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 23/V, პეროვსკაიას ქ. № 6, დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე. 629

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

უე 5919